

უფლება შაპრების (მეფეთ მეფის სამფლობელოში შემავალი მსხვილი საგამგეო ოლქების) მმართველი ყოფილიყო, თუ არ იქნებოდა სასანიანთა სამეფო სახლის შვილი. შესაბამისად, ქართულ წყაროებში დადასტურებული მეფეთა სასანიური წარმომავლობის იდეაც სწორედ ქართლში სპარსეთის ბატონობის ხანაში იქნებოდა აქტუალური.

მირიანის მეფობის საკრალიზაცია ქრისტიანული რელიგიის კონტექსტში გააზრებულია როგორც ერთგვარი დიალოგი ფარნავაზის მეფობის საკრალიზაციის მითთან. მზის დაბნელების ეპიზოდი "წმ. ნინოს ცხოვრებაში" სპეციფიკური ანუ მითოლოგიური ენით გვეუბნება, რომ ის "მზე", რომელმაც ფარნავაზს მეფობის უფლება მიანიჭა, დაბნელდა ანუ მოკვდა. ახალი მზე, რომელიც მირიანმა "ნინოს ღმერთის" ხსენების შემდეგ იხილა, უკვე ქრისტიანული ნათლის სიმბოლოა.

ამგვარად, მირიანის მოქცევა და ქვეყნის ხელახალი საკრალიზაცია მეფობის კონცეპტის ჩამოყალიბების და იდეოლოგიური პოსტულატების ფორმირების გზით ხორციელდება. თუ, ერთი მხრივ, ეს სასანიან მეფეთა ნათესაობის მტკიცებით ხერხდება, მეორეს მხრივ, ადგილობრივ დინასტიასთან – ფარნავაზიანებთან კულტურული მემკვიდრეობითობის აქტუალიზებით და კულტურული დიალოგის გაბმით გამოიხატება.

საქართველი ენოცენტრული პოლიტიკური

რეინტეგრაცია IV - XI II.

VI 111

თავი III

მეფობის იდეა "ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში"

ნაშრომის ამ მონაკვეთში გრძელდება წინა თავებში აღძრული პრობლემის – "მეფობის იდეა "ქართლის ცხოვრებაში" – განხილვა ამჯერად, გაქრისტიანების შემდგომდროინდელ ქართლის ისტორიული განვითარების კონტექსტში. კვლევის ფოკუსში მოქცეულია "ვახტანგ გორგასლის ცხოვრება", თხზულება, რომელიც აგრეთვე "ქართლის ცხოვრების" შემადგენელი ნაწილია.

ვახტანგ გორგასლის ზეობის ეპოქა ქართლის სამეფოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ხანაა. მით უმეტეს საინტერესოა, რა იდეებს შეიცავს და ამკვიდრებს "ვახტანგ გორგასლის ცხოვრება" ზოგადად მეფობის და, კერძოდ, ვახტანგის მეფობის ლეგიტიმურობის საკითხთან მიმართებაში.

წინა თავებში ჩატარებული კვლევის შედეგად მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ "ქართლის ცხოვრების" ვახტანგამდელ მონაკვეთში, კერძოდ, "მირიანის ცხოვრებაში" მეფობის ლეგიტიმურობის დამადასტურებელი წამყვანი იდეებია: მირიანის სასანიური წარმომავლობა, ფარნავაზიან მეფეთთან კულტურული მემკვიდრეობითობა და მეფის გაქრისტიანება. "ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" შესწავლამ კი დაგვანახა, რომ გორგასლის მეფობის ლეგიტიმაციას უკვე განსხვავებული იდეები და სახეები ელო საფუძველად: ვახტანგის მეფობის არქეტიპი და ანალოგი ბიბლიური დავითის მეფობა(1), ვახტანგის მეფობა ბიზანტიის იმპერატორის ("კეისრის") ხელდასმულია და შესაბამისად ბიზანტიური თეოკრატიის პრინციპებს ეთანხმება(2), ვახტანგი, როგორც მირიანის შთამომავალი, სპარსთა სამეფო დინასტიის ნათესავია და, შესაბამისად, სასანიანთა იმპერიის იდეოლოგიურ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს(3).

ვახტანგ გორგასალი და ბიბლიური დავითი

- 1) ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში ქრისტიანულ სამყაროში მეფობის ორი მთავარი იდეა თანაარსებობდა: ერთი მომდინარეობდა აღმოსავლეთიდან და ძველი აღთქმის სამყაროდან, ხოლო
- 2) მეორე ანტიკური რომიდან და ბიზანტიიდან. ერთი ცხებული მე

ფის იდეა და მისი პროტოტიპი ღვთის რჩეული დავითი და ძველი ისრაელის მეფეებია, ხოლო მეორე იმპერატორის სახეა. ეს სახე ანტიკური რომის ტრადიციებზეა დაფუძნებული, მაგრამ მისი ქრისტიანული ხორცშესხმა ბიზანტიის მეფეების (ბასილევსების) კონცეპტუალურ სახეებშია მოქცეული [უსპენსკი 2000:18]. მაგალითად, ქრისტიანულ დასავლეთში მეფედ კურთხევა ცხების რიტუალის მონაწილეობით სრულდებოდა და ამ შემთხვევაში ცხებული მეფე (rex) დავითს ემსგავსებოდა. საყურადღებოა, რომ კარლოს დიდი სამჯერ იქნა ცხებული (ტრადიციის მიხედვით დავით მეფეც სამჯერ იყო ცხებული), მაგრამ როცა პაპმა ლეონ III-მ 800 წელს ის იმპერატორად აკურთხა, მაშინ მას ცხების რიტუალის გარეშე მხოლოდ გვირგვინი და ადგა თავზე [უსპენსკი 2000:18]. მაშასადამე, იმპერატორად კურთხევა უკვე ბიზანტიური ტრადიციის საფუძველზე განხორციელდა. ცნობილია, რომ ბიზანტიაში ბასილევსების კურთხევა გვირგვინის დადგმის ცერემონიალით სრულდებოდა, ხოლო ცხება მხოლოდ გვიან დასავლეთის ქრისტიანული ტრადიციის ზეგავლენით დამკვიდრდა.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა აღინიშნოს, რომ “ვახტანგ გორგასლის ცხოვრების” ავტორი სპარსთა და ქართველთა შემთხვევაში მეფის ტიტულის აღსანიშნავად იყენებს “მეფეს”, ხოლო ბიზანტიის იმპერატორის ტიტულის აღსანიშნავად – “კეისარს”. კეისარი იმპერატორის ეკვივალენტია და ბიზანტიის ბასილევსების აღსანიშნავად იხმარებოდა. მაგ. რუსული язык იგივეა, რაც язык და იგი ბიზანტიის იმპერატორს აღნიშნავდა [უსპენსკი 2000:34-35]. ასე რომ, “ვახტანგ გორგასლის ცხოვრების” ავტორი ამ ორი ტიპის უზენაეს ხელისუფლებას ტერმინოლოგიურ დონეზე განარჩევს ერთმანეთისგან. უნდა აღინიშნოს, რომ “ქართლის ცხოვრების” უფრო ადრეულ ტრადიციაში, მაგ., “მირიანის ცხოვრებასა” და “წმ. ნინოს ცხოვრებაში” კონსტანტინე ბერძენთა მეფედ მოიხსენიება და არა კეისრად. მაშასადამე, “ვახტანგ გორგასლის ცხოვრების” ავტორი ბევრად ღრმად წვდება იმდროინდელი პოლიტიკური თეორიის საკითხებს, რასაც შემდგომი კვლევა კიდევ უკეთ დაადასტურებს.

დავითი ქრისტიანი მეფის პროტოტიპად და თავად ქრისტეს, როგორც მეუფისა და როგორც ცხებულის, პრეფიგურაციად იქცა. დავითის, როგორც ღვთის რჩეულისა და მისი შემწეობის მომპოვებელი მეფის სახემ გამარჯვებისა და კეთილდღეობის გარანტიის ფუნქცია შეიძინა. ამიტომ, ვახტანგ გორგასლის პროტოტიპად ბიბლიური დავითის დასახვა ერთგვარად მისი მეფობის საკრალიზაციას ახდენს და მეფობის ლეგიტიმაციის ფუნქციასაც ასრულებს.

ციასაც ასრულებს. ახლა ვნახოთ, თუ როგორ წარმოვიდგენს თხზულების ავტორი ასეთი დაწვევების შესაძლებლობას.

“ვახტანგ გორგასლის ცხოვრების” დასაწყისი ნაწილი – ეპიზოდი, სადაც მის გამეფებაზე და ოვსებთან ბრძოლაზე საუბარი, დავითის გამეფების ბიბლიურ მოთხრობასთან აშკარა სიუჟეტურ და ლექსიკურ პარალელიზმებს შეიცავს. მივყვით სხენებულ სიუჟეტს:

სანამ ვახტანგი მეფობის ასაკს მიაღწევდა, ქართლი მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი: “გარდამოვიდნეს ოვსნი” და მოტყვევნეს ქართლი ხუნანამდე, ვახტანგის სამი წლის და, მირანდუხტი კი, ტყვედ წაიყვანეს. ამავე დროს “გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით... და დაიპყრეს ეგრის წყლითგან ვიდრე ციხე გოჯადმდე” [ყაუხჩიშვილი 1955: 146]. აი, ასეთ მძიმე მდგომარეობაში იყო ქართლი, როცა თხუთმეტი წლის ასაკში ვახტანგი უნდა გამეფებულიყო. ვახტანგმა ოვსთა წინააღმდეგ საბრძოლველად წასვლისაკენ მოუწოდა დიდებულებს. მათაც მოუწონეს მეფეს განზრახვა, მაგრამ შეეცადნენ, რომ ჯერ გამოუცდელი ყმაწვილი მეფისათვის ბრძოლაში წინამძღოლობა აერიდებინათ და იგი მხოლოდ საერთო ხელმძღვანელობაზე დაეყოლიებინათ, რაზეც ვახტანგმა კატეგორიული უარი განაცხადა. მისი გადაწყვეტილება – ოვსებს თავად გამკლავებოდა, ურყევი იყო. წარჩინებულებმაც თანხმობა განაცხადეს და დაჰყვნენ მეფის ნებას ამ სიტყვებით:

“ცხოვნდინ, მეფეო, უკუნისადმდე! იქმნეს განზრახვა შენი, ღმერთმან დაძაბებულმან მოავლინენ ანგელოზი მისი ძალად შენდა, და დასცენ ყოველნი მტერნი შენნი, დაამტკიცენ მეფობა შენი” [ყაუხჩიშვილი 1955: 147-150].

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ვახტანგის განზრახვის სისრულეში მოყვანა ღვთისგან მისი მეფობის დამტკიცებას მოასწავებს (“დაამტკიცენ მეფობა შენი”). ფაქტობრივად, ოვსებთან ბრძოლა არის ერთგვარი გამოცდა, რომელმაც უნდა აჩვენოს, თუ რამდენად მზად არის თავად ვახტანგი მეფობისათვის და რამდენად არის მისი მეფობა ღვთისთვის სათნო და ღვთის თანადგომით გამაგრებული, როგორც ეს ბიბლიური დავითის გამეფების შემთხვევაში იყო (1მეფ. 16-17).

ქართველთა და ოვსთა ჯარი მდინარის მოპირდაპირე ნაპირებზეა განლაგებული, როგორც იუდეველთა და ფილისტიმელთა ლაშქარი. ორივე შემთხვევაში ბრძოლის წინ ბუმბერაზების (“ქართლის ცხოვრებაში” “გოლიათები”) ორთაბრძოლები იმარ-

თება. ფილისტიმელებს გამოყავთ უდიდესი ძალის ფალავანი სახელად გოლიათი, რომლის მომრევი იუდეველთა ბანაკში არ აღმოჩნდა. ყოველ დღე გამოდის გოლიათი და ბრძოლაში იწვევს მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან ფალავანს, მაგრამ ვერაინ ზედავს მასთან შერკინებას. ასევე, ოვსთა ბანაკში არის ერთი „გოლიათი“ სახელად თარხანი, რომელმაც მოკლა ქართველთა ჯარიდან ყველაზე გამოჩენილი „გოლიათი“ ფასმან ფარუხი, რის შემდეგაც ვახტანგის ბანაკში აღარავინაა ისეთი, ვინც თარხანს შეებრძოლება. და თარხანის წინააღმდეგ საბრძოლველად 15 წლის ვახტანგი გადის. დავითიც ხომ მცირეწლოვანია, ის ბრძოლაში არც კი მონაწილეობდა და თავის ძმებთან იყო მოხუცი, როდესაც ფილისტიმელი გოლიათის გამოწვევას შეესწრო. ვახტანგის სიყმაწვილე მის მოწინააღმდეგეში ირონიას იწვევს, ზუსტად ისევე, როგორც გოლიათს ეცინება, როცა მის მოწინააღმდეგედ გამოსულ სრულიად ყმაწვილ დავითს დაინახავს. თარხანი ამბობს: „მე გოლიათთა და გმირთა გამოცდილთა მბრძოლი ვარ, არა ყმაწურილთა, გარნა შენ ზედაცა და ვიმდაბლო თავი ჩემი“ [ყაუხჩიშვილი 1955: 153]. შეადარე: „და დაინახა ფილისტიმელმა დავითი და სასაცილოდ აიგდო, რადგან ყმაწვილი იყო იგი...“ (1 მეფ. 17:42). ისევე როგორც დავითი, ვახტანგი ბრძოლაში ღვთის ძალისა და შეწვევის იმედად გადის. დავითს, რომელიც საბრძოლოდ არც კი იყო აღჭურვილი და ხელთ მწყემსის კომბალი და მწყემსის გულაში ჩაყრილი რიყის ქვები ეჭირა, ფილისტიმელმა დამცინავად უთხრა: „ძაღლი ხომ არა ვარ, ჯოხით რომ გამოდიხარ ჩემთან“ (1 მეფ. 17:43). ძაღლთან შედარება ვახტანგისა და ახლა უკვე მეორე გოლიათის – ბაყათარის ორთაბრძოლის კონტექსტშიც ისმის, რაც უკვე აშკარად მიუთითებს ვახტანგისა და დავითის ანალოგიაზე: „არა მეშინის მე შენგან, ვითარცა ძაღლისა ერთისაგან, რამეთუ ძალი ქრისტესი ჩემ თანა, და ჯუარი მისი პატიოსანი საჭურველ ჩემდა“ [ყაუხჩიშვილი 1955:154] – ეუბნება ვახტანგი ბაყათარს.

ორივე ამ ეპიზოდის საზრისი მეფეთა პირით გამოითქმის. დავითი ეუბნება ფილისტიმელს: „შენ ხმლით, შუბითა და ფარით გამოდიხარ, მე კი ცაბაოთ უფლის, ისრაელის მხედრობის ღმერთის სახელით გამოვდივარ, რომელიც შენ შეურაცხავი... და შეიტყობს მთელი ქვეყანა რომ არა მახვილითა და შუბით იხსნის უფალი, რომ უფლის ნებაზეა ომი, და ხელში ჩაგვიგდებს თქვენს თავს“ (1 მეფ. 17:45-47). შეადარე ვახტანგის სიტყვები: „არა მინდობილ ვარ მე ძალისა ჩემისად და სიმხნისა ჩემისად, არამედ მინდობითა ღმერთისა დაუსაბამოსათა, სამებისა

ერთარსებისა ყოვლისა და მბადებელისათა განვალ თვითმბრძოლად თარხანისა“ [ყაუხჩიშვილი 1955:152], გამარჯვების შემდეგ კი შესძახებს თავის სპას: “მხნე იყვნით და განძლიერდით, რამეთუ ღმერთი ჩვენ-კერძო არს” [ყაუხჩიშვილი 1955:155].

ამგვარად, როგორც დავითის, ისე ვახტანგის გამარჯვების ეპიზოდები ამკვიდრებენ ერთსა და იმავე აზრს: სწორედ ამ ადამიანების გვერდით არის ღვთის ძალა და შეწვევა, სწორედ ეს ადამიანები შეძლებენ, რომ ღვთის თანადგომით გამარჯვება მოუტანონ ხალხს და ამიტომაც მათ ეკუთვნით მეფობა.

“ნათესაენი ნებროთ გმირისანი”

მირიანის ლეგიტიმაციის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი ფარნავაზისა და ფარნავაზიანი მეფეებისაგან კულტურული მემკვიდრეობის მიღება და ამ მემკვიდრეობის კიდევ უფრო გაძლიერება იყო, მაგრამ ვახტანგ გორგასლისათვის მთავარი წინაპარი უკვე თავად მირიანია. ვახტანგის ბიოგრაფი ფარნავაზს საერთოდ არ ახსენებს, მაშინ, როცა მირიანს ვახტანგდ ცხოვრებაში “მამის მამად” მოიხსენიებს: “მამის მამა ჩემი მირიან ოდეს შემოჰყვა მეფესა სპარსთასა...” [ყაუხჩიშვილი 1955:160]. ვახტანგი მირიანის ძის ბაქარის შტოს მიეკუთვნება. ამიტომ მისი პირდაპირი წინაპარი ანუ “მამა” ბაქარია, ხოლო მირიანი კი “მამის მამა”. როდესაც ვახტანგმა ოვსებთან საბრძოლველად წასვლა გადაწყვიტა, ანდერძად დაიბარა, რომ თუ ცოცხალი არ დაბრუნდებოდა, მისი და ხუარანძე შეერთო მირიანს – “რომელი ეყვოდა ვახტანგს მამის ძმისწულად ნათესავისაგან რევისა მირიანის ძისა” [ყაუხჩიშვილი 1955:151]. ამ გამოთქმის თანახმად, ვახტანგის “მამა” ისევე ბაქარია, შესაბამისად, მამის ძმა – რევი, რომლის შთამომავალი ვახტანგის თანამედროვე მირიანი მისთვის “მამის ძმისწული” გამოდის. ეს გამოთქმები იმაზე მეტყველებს, რომ “ვახტანგ გორგასლის ცხოვრების” მიხედვით, ვახტანგის უშორესი წინაპარი ქართლის ტახტზე არის მირიანი. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ვახტანგი თავის მეფურ წარმომავლობას მირიანის მემკვიდრეობით სპარსეთის სამეფო საგვარეულოს უკავშირებს. ვახტანგი თავადაც ამაყობს ამ წარმომავლობით, ისევე როგორც მის გარემოცვას ეს სასახელო ფაქტად და მეფობის კანონიერების საფუძველად მიაჩნიათ. დაფუკვირდეთ ჯუანშერ სპასპეტის სიტყვებს, როდესაც აქებს ვახტანგს და კანონიერ და უძლიერეს მეფედ სახავს მას:

“ამისთვის დიდი მადლობა გვიღირს ღმერთისა მიმართ. რამეთუ შენ, უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისა-

თა, და მამათა შენთა უფროსი, ყოვლითავე სრული, მსგავსი ნებროთ გმირისა, გამოგაჩინა წინამძღურად ჩუენდა..." [ყაუხჩიშვილი 1955:148].

სპასპეტს, ალბათ, იმის თქმა სურდა, რომ ვახტანგი უმჯობესია ყველა იმათ შორის, ვინც ქართლის სამეფო ტახტზე მჯდარა, მაგრამ ამავე დროს ის "მამათა" შორის უფროსიც არის. ანუ საუკეთესოა არა მარტო ქართლის ტახტზე მჯდომ მეფეთა შორის, არამედ ყველა სასანური წარმომავლობის მეფეთა შორისაც, რადგან ვახტანგი თავის წინაპართა მამამთავარს ნებროთს უსწორდება გმირობით...

თავად ვახტანგ გორგასლის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა ბერძენთა წინააღმდეგ გამართული ბრძოლის წინ, მოწმობენ, რომ მეფის სპარსული წარმომავლობა – ნებროთ გმირის ნათესაობა სამეფო ძალაუფლების ლეგიტიმურობის წყაროდ არის წარმოდგენილი:

"მკვიდრო ქართლისანო, ნათესაჲო მეფეთა ქართლისათანო, რომელნი დღეს მთავრობასა ზედა დადგინებულ ხართ ჩვენ მეფეთაგან, რომელნი ვართ ნათესაჲნი ნებროთ გმირისანი..." [ყაუხჩიშვილი 1955:161].

ეს სიტყვები კარგად გამოხატავენ როგორც ხელისუფლების იერარქიულობას, ისე მისი ლეგიტიმურობის იდეოლოგიურ საფუძველს. "ვახტანგ გორგასლის ცხოვრებიდან" სრულიად არაორაზროვნად გამომდინარეობს, რომ ნებროთიანობა აქ არის სასანური წარმომავლობის სინონიმი. სპარსეთის შაჰი მოციქულის პირით ეუბნება ვახტანგს, რატომ მებრძვი "მმანი კაცნი ვართ, შვილნი ნებროთისნი... დავადგრეთ სიყუარულსა ზედა მამათა ჩუენტასა" [ყაუხჩიშვილი 1955:181]. თავად ვახტანგის პირიდანაც უღერს სპარსეთის მეფეებთან მისი ნათესაობა. ვახტანგი სინდთა მეფეს ეუბნება: სპარსეთის მეფეს ვეხმარები, რადგან სინდთა მეფეს ეუბნება: ნათესაობისათვის..." [ყაუხჩიშვილი 1955:193]. ამგვარად, ცხადია, ტრადიციას მირიანის სპარსული სასანური წარმომავლობის შესახებ არა მარტო იცნობს და იზიარებს "ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" აღმწერი, არამედ აღიარებს და ამკვიდრებს, როგორც ვახტანგის მეფობის ლეგიტიმურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს.

ქართლისა და სპასეთის მეფეთა საერთო წარმომავლობას "ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" თან ახლავს მითი. ეს არის ე.წ. "ნებროთის წიგნი". ნებროთის წიგნის რაობის შესახებ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა საფუძვლიანი გამოკვლევა, სადაც

გამორკვეულია, რომ ეს წიგნი სასანური მმართველობის პერიოდის კულტურულ გარემოში უნდა შექმნილიყო და ამავე პერიოდში უნდა მომხდარიყო მისი შეთვისება ქართულ სინამდვილეში. ავტორის დასკვნით, "ვახტანგ გორგასლის ცხოვრების" წყაროს ავესტური და უფრო ფართოდ ზოროასტრული ლიტერატურა წარმოადგენს. ნებროთის არქტიპი ირანის ლეგენდარული სამეფო დინასტიის კავიების წარმომადგენელი – კავი უსანია. კავი უსანს "სასანური ტრადიცია თავის წინაპრად მიიჩნევდა, ხოლო ის დინასტია, რომელსაც ვახტანგ გორგასალი განეკუთვნებოდა, თავს სასანიდების დინასტიის მონათესავედ მიიჩნევდა" [კაციტაძე 1999:16].

ეს წიგნი, როგორც ცხოვრების ავტორი იუწყება, გორგასლის "მამებს" დაფარულად ეპყრათ და ის მირიანის გაქრისტიანების საფუძველი გამხდარა [ყაუხჩიშვილი 1955: 163]. მაშასადამე, "წიგნის" შინაარსში უნდა ყოფილიყო რაღაც ისეთი, რაც ქრისტიანულ (ბიზანტიურ) და ზოროასტრულ (სპარსულ) საწყისთა შერიგების საფუძველად გამოდგებოდა ქართველ მეფეთათვის. "ვახტანგის გორგასლის ცხოვრებაში" მეფის პირით გადმოცემულია ნებროთის მითის შინაარსი, საიდანაც საკმაოდ თვალსაჩინოდ ესქატოლოგიური მოტივები წარმოჩნდება. ამ ესქატოლოგიას კი, როგორც ჩანს, გარკვეული ფუნქცია ჰქონდა შესაბამისი ეპოქის ქართველ მეფეთა იდეოლოგიაში. როგორია ეს ესქატოლოგია და როგორია ისტორიის დრამა და საზრისი "ნებროთის წიგნის" მიხედვით? ამ საკითხს ჩვენ ცოტა ქვემოთ დაეუბრუნდებით.

ვახტანგი – კეისრის მეგობარი

"ვახტანგ გორგასლის ცხოვრება" – ეს თხზულება ემსახურება მეფის გამართლებას და წარმოადგენს პასუხს იმ კრიტიკაზე და საყვედურებზე, რომლებიც მეფის მიმართ გამოითქმოდა, და რომლებიც, როგორც ჩანს, მისი მეფობის შემდგომი ხანის დინასტიურ დაპირისპირებებს ედო საფუძველად. ამ დასკვნამდე მივყავართ, რადგან "ვახტანგ გორგასლის ცხოვრება" არაერთხელ პირდაპირ ან შეფარვით სხვადასხვა ისტორიული პერსონაჟის პირიდან ისმის სასტიკი საყვედურები მეფის პოლიტიკის მიმართ. ერთ-ერთი ასეთი პერსონაჟია პეტრე მღვდელი, რომელიც გრიგოლ დვთისმეტყველის საფლაგზე მსახურებდა და შემდგომში ქართლის პირველი კათალიკოსი გახდა. პეტრემ გაკიცხა მეფე იმის გამო, რომ ვახტანგი სპარსეთის მეფის მხარეზე ქრისტიანული ქვეყნის – ბიზანტიის წინააღმდეგ იბრძოდა. მეფე თავის გასამართლებლად ამბობს, რომ მისი ბრძანებით,

ქრისტიანებისაგან (ქართველებისა და სომხებისაგან) შემდგარმა ჯარმა ეკლესიები უვნებლად დატოვა. მაგრამ ეს არგუმენტი პეტრესთვის უსუსური აღმოჩნდა. ის პასუხობს: "ეკლესიანი ხორცთანი უფროს არიან წინაშე ღმრთისა ვიდრე ეკლესიანი ქვათანი. ეკლესია ქვათა ოდესმე დაირღუეს, და აღაშენიან მით-ვე ქვითა; ხოლო ეკლესიანი ხორცთანი ოდეს დაირღუენ, ვერ-ვინ შემძლებელ არს განკურნებად" [ყაუხჩიშვილი 1955:164]. მას მოსდევს მეფის სინანული და აღსარება. მაგრამ იმისათვის, რომ მეფეს მიეტევოს შეცოდებანი, პეტრე მას მნიშვნელოვან პირობას უყენებს. მოვუსმინოთ პეტრე მღვდლისა და ვახტანგის დიალოგის ბოლო, დამაგვირგვინებელ ნაწილს:

რქუა მეფემან: "მნებაგს განმართლება თავისა ჩემისა, ხო-ლო სიმართლით შენ დამსაჯე უმსჯავროებასა ჩემსა". რქუა პე-ტრე: "ვინათგან გზა ეც შეწამებად, ცოდვა შენი განგეშორა შენგან. ხოლო აწ გითხრა გულის სიტყუა შენი: არა უმეცრება-მან აღგძრა ბრძოლად ძეთა ზედა ღმრთისათა, არამედ შეუელი-სათვის ნათესაისა შენისა სპარსთასა. და არა უწყია, რამეთუ ბერძენნი ნათესაენი ღმრთისანი არიან აღთქმისა შინთვის, რა-ჟამს უწოდა მათ შვილად ღმრთისა და მოსცა მათ ბეჭედი, რომლითა შემუსრა ჯოჯოხეთი და არს იგი ჯუარი?" რქუა მე-ფემან: აწ რა გნებაგს შენ?" რქუა მას პეტრე: "მნებაგს, რათა შენ მიერ აღგზებული ესე ცაცხელი შენვე დაშრიტო და მეგო-ბარ იყო კეისრისა, ვითარცა დღესამომდე იყავ სპარსთა" [ყაუხ-ჩიშვილი 1955:165-6].

მაშასადამე, პეტრე ითხოვს ვახტანგისაგან პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლას და ბიზანტიური მეფობის უზენაესობის აღიარებას. მისი არგუმენტი კი ასეთია: თუ ვახტანგის მეფობა სპარსთა მეფეთა ნათესაობით და ნებროთიანობით არის გამა-გრებული, ბერძენნი (შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ბიზან-ტიური სახელმწიფო და მისი ხელისუფლება იმპერატორის სა-ხით) თავად ღვთის ნათესაეები არიან, რადგან, ახალი აღთქმის მიხედვით, ქრისტიანობა ანუ ნათლისღება და ქრისტესთან ნია-რება ქრისტეში ყოფნას და, შესაბამისად, ღვთის ძეობას ნიშ-ნავს. როდესაც პეტრე ვახტანგს მიმართავს ამ სიტყვებით: "არა უწყია (განა არ იციო), ის აქ ყველა ქრისტიანისათვის ნაცნობ სიტყვებს გულისხმობს: რადგან ისინი, ვინც ღვთის სულით წა-რიმართებიან, ღვთის შვილები არიან (რომ. 8:14); ვინაიდან თქვენ ყველანი ღვთის შვილები ხართ ქრისტე იესოში რწმე-ნით" (გაღ. 3:26); ამგვარად, სრულიად ნათელია პეტრე მღვდ-ლის პირით გამოთქმული დებულება: როგორც არ უნდა იყოს ვახტანგის ნათესაობა სპარსეთის მეფეებთან და ამ უკანასკნე-

ლთა წარმომავლობა, ის ვერ შეედრება ბიზანტიური ქრისტი-ანული სახელმწიფოსა და ქრისტიანი მმართველის იდეას, რად-გან ქრისტიანობა საფუძველშივე აუქმებს ყოველი ნორციელი ნათესაობის უპირატესობას. ის ხომ სულიერად უშუალოდ ღვთის ძეობაზეა დაფუძნებული. ამიტომ ვახტანგს, თუ მას სურს იყოს ღვთიეკურთხეული მეფე, პოლიტიკური ორიენტაცია უნდა შეცვალოს და "მეგობარ იქმნას კეისრისა". ამ სიტყვების ჭეშმა-რიტებაში როგორც ვახტანგი, ისე თხზულების მკითხველებიც ზეცით მოვლენილ ხილვას უნდა დაერწმუნებინა. ხილვის მხო-ლოდ იმ ნაწილზე გაეამახვილებ ყურადღებას, სადაც ვახტან-გის მეფობის ხელახალ საკრალიზაციასაზე მინიშნება გაკეთებუ-ლი: სამეფო ტახტზე მჯდომმა კეისარმა ვახტანგ მეფე გვერდით დაისვა ("ადგილ-სცა საყდართა თვისთა, და დაისუა იგი თანა"), და მისცა ბეჭედი (ხელისა მისისაგან), შემდეგ კი მიჰყო ხელი გვირგვინს, რომელიც ჯვარზე იყო დასვენებული და "დაარქუა გვირგვინი იგი ვახტანგს" [ყაუხჩიშვილი 1955: 167-168]. ბიზანტი-ელი ბასილევსების კურთხევის ცერემონიაში სწორედ გვირგ-ვინის დადგმა არის უმთავრესი რიტუალი. აქაც სწორედ ქრის-ტიანულ-ბიზანტიური სიმბოლიკის მეშვეობით ხდება ვახტანგის მეფობის ხელახალი ლეგიტიმაცია.

ამგვარად, თუ "ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას" წავიკით-ხავთ, როგორც მეფობის ლეგიტიმაციის დანიშნულების მქონე ტექსტს, სრულიად ნათელი გახდება ყოველი "ზღაპრული" თუ "სასწაულებრივი" ელფერის მქონე სიუჟეტის ფუნქცია: მათში პოლიტიკური თეორიის ძირითადი იდეები ამოიცნობა. ვახტანგ გორგასლის მეფობა სამგზის არის გამაგრებული – ბიბლიური დავითის მეფობის ანალოგიით, სპარსეთის მეფეთა ნათესაობით და ქრისტიან იმპერატორთან სარწმუნოებრივ ერთობაზე დაფუ-ძნებული მეგობრობით.

ახლა ვნახოთ, თუ როგორ არიან ეს იდეები დაკავშირე-ბულნი ერთმანეთთან და რა ადგილი მიუჩინა ავტორმა ვახტან-გის მეფობას უნივერსალური ისტორიის დრამაში.

"მოხარკენი შენნი ბერძენნი მოღმართ გბრძენან"

"ნებროთის წიგნი" ესქატოლოგიური შინაარსის თხზულე-ბაა. მკითხველს შეეახსენებ, რომ ამ წიგნის შინაარსი ვახტან-გის პირით არის გადმოცემული თხზულებაში. ამ შინაარსიდან ვიგებთ, რომ ქვეყნიერების პირველი მეფე – ნებროთი – ბრწყი-ნვალე ქალაქის მამულებელია. მისმა სიამაყემ იქამდე მიადწია, რომ ცამდე ამაღლება და იქ მყოფ ღვთაებათა ხილვა მოინდომა. ნებროთი დაისაჯა – ოქრო და ვერცხლი სიმხურვალისგან

დადნა, ხოლო ქალაქის მცხოვრებნი სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენ. ზოგიერთი რამ ამ სიუჟეტის კავშირის შესახებ ბიბლიურ თუ ირანულ-ზოროასტრულ მითოლოგიურ სიუჟეტებთან უკვე გარკვეულია [კაციტაძე 1999]. ალბათ, არანაკლებ საინტერესო იქნება ამ თხზულების კავშირის დადგენა ზოროასტრულ და იუდაურ ესქატოლოგიასთან, მაგრამ ამჯერად ამ ძეგლის შინაარსი მისი წარმომავლობისაგან დამოუკიდებლად, “ვახტანგ გორგასლის ცხოვრების” მეფობის კონცეფციის კონტექსტში მაინტერესებს. “ნებროთის წიგნში” ნათქვამია, რომ ნებროთს მიქაელ ანგელოზი გამოეცხადა, რომელმაც ასე უწინასწარმეტყველა:

“ხოლო მეფობა შენი მეფობდეს ყოველთა ზედა მეფეთა, არამედ ჟამთა უკანასკნელთა მოვიდეს მეუფე ცოხა, რომლისა შენ გნებავს ხილვა მისი, ერსა შორის შეურაცხსა; შიშმან მისმან განაქარენეს გემონი სოფლისანი, მეფენი დაუტეობენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა. მაშინ გიხილოს შენ ჭირსა შინა და გიხსნეს ღმერთმან” [ყაუხჩიშვილი 1955:162].

ამ წინასწარმეტყველების მიხედვით გამოდის, რომ ნებროთს ამქვეყნად ხანგრძლივი მეუფება მიანიჭა ღმერთმა. ეს ამქვეყნიური მეუფება გაგრძელდება მანამ, სანამ დადგება “უკანასკნელი ჟამი” და ამქვეყნად ზეციური მეუფე მოვა “ერსა შორის შეურაცხსა”. ეს გამოთქმა ავტორს ესმის, როგორც ქრისტეს მოსვლა დაჩაგრულ და დამდაბლებულ იუდეაში. სწორედ ქრისტეს მოსვლის ჟამის შემდეგ ჩავარდება ჭირში ნებროთი (იგივე – ნებროთიანი მეფეები) და მაშინ ჭირში ჩავარდნილ ნებროთს (ვიგულისხმობ – ვახტანგს) იხსნის უფალი: “მაშინ გიხილოს შენ ჭირსა შინა და გიხსნეს ღმერთმან”.

მართლაც, ვახტანგისდროინდელი ისტორიის სურათი ისეა დახატული საანალიზო “ცხოვრებაში”, რომ ის “ნებროთის წიგნის” ამ წინასწარმეტყველების შუქზე ისტორიის გარდამტეხ მომენტად წარმოგვიდგება: სპარსეთის ძლევამოსილი მეფეები, მსოფლიოს ბატონ-პატრონები ჭირში არიან ჩავარდნილნი; ახლა მათ ბერძენნი ჩაგრავენ. ბერძენები ღვთის ძენი არიან და ღვთის ძალითვე (“ძალითა ჯვარისადათა”) იმარჯვებენ. სწორედ ამ ისტორიულ მომენტში უნდა ახდეს “ნებროთის წიგნის” წინასწარმეტყველება და უფალმა უნდა იხსნას ნებროთი (ამ შემთხვევაში – ვახტანგი). ვახტანგ გორგასლის მიერ წარმოთქმული სიტყვები ცხადად მიუთითებენ, რომ “ნებროთის წიგნში” ის თავისი მეფობის ისტორიული ხანის წინასწარმეტყველებას ხედავს. “ნებროთის წიგნის” შინაარსის გადმოცემის შემდეგ ის

დასძენს: “ანუ არა ქრისტეს მოსვლამდე მიიღებდეს მამანი ჩუენნი ხარკსა, და მუნითგან მოუძღურდით, ესე რა ბერძენნი მიღმართ ბრძევანან” [ყაუხჩიშვილი 1955: 163]. იგივე აზრი გამოთქვა ვახტანგმა სპარსეთის მეფის მოციქულთან მოლაპარაკების დროს. ის ამბობს:

“გიხილავს ძალი ჯუარისა, რამეთუ ყოველთა მეფეთა მოგუაქუნდა ხარკი, ვიდრე გამოჩინებამდე ჯუარცმულისა. რაჟამს გამოჩნდა იგი, მძლე გექმნეს ყოველნი თაყუანისმცემელნი მისნი წინაშე მისსა და მოხარკენი შენნი ბერძენნი მოღმართ გბრძევანან, და მოაოხრეს სამსახურებელნი ცეცხლისანი” [ყაუხჩიშვილი 1955:181].

ეს გამოთქმები გამოხატავენ ავტორის წარმოდგენას ისტორიულ პროცესზე. ქრისტეს მოსვლის შემდეგ ისტორიის სვლის შემობრუნების მომენტი დგება: თუ აქამდე სპარსეთის სამეფო მსოფლიოში უძლიერესი იყო, ახლა ვითარება შეიცვალა და უკვე ბერძენები (ანუ ბიზანტიის სახელმწიფო) იქით ებრძვიან და ჩაგრავენ სპარსელებს. ბერძენებს კი გამარჯვებას, რა თქმა უნდა, ღმერთი ანიჭებს და სიმბოლო ბერძენთა სამეფოს ძლევისა არის ჯვარი. ასეთია “ვახტანგ გორგასლის ცხოვრების” ავტორის, როგორც ისტორიკოსის, პოზიცია. ის თვლის, რომ ვახტანგმა, თავისი სპარსული წარმომავლობით სრულიად ლეგიტიმურმა ხელმწიფემ, სავსებით მართებული პოლიტიკური კურსი აირჩია და მსოფლიო ძალების ჭიდილის ამ გარდამტეხ ისტორიულ მომენტში ქრისტიანული სარწმუნოების მხარეზე დადგა. ეს გადაწყვეტილება ვახტანგმა მიიღო მიუხედავად იმისა, რომ წინასწარმეტყველებით იცოდა თავისი მოწამებრივი აღსასრულის შესახებ: “გვირგვინიცა წამებისა მიიღო” [ყაუხჩიშვილი 1955:168]. ვახტანგი თავის ანდერძში ძალზე მოკლედ და ნათლად ლაპარაკობს როგორც თავისი ხორციელი წარმომავლობის, ისე სულიერი და პოლიტიკური ერთგულების შესახებ:

“თქვენ, მკვიდრნი ქართლისანო, მოიხსენენით კეთილნი ჩემნი, რამეთუ პირველად სახლისა ჩემისა მიერ მიიღეთ ნათელი საუკუნო, და მე ხორციელებრითა დიდებითა გადიდენ თქვენ ნათესავთა ჩემთა. და სახლსა ჩუენსა ნუ შეურაცხ-ჰყოფთ, და სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ” [ყაუხჩიშვილი 1955:203].

“ვახტანგ გორგასლის ცხოვრების” ავტორი კარგად იცნობს ქრისტიანი მოაზროვნეების იდეას უნივერსალური ისტორიის შესახებ და ამ იდეის საფუძველზე საკუთარ ორიგინალურ მსო-

ფლიო ისტორიის კონცეფციას ქმნის. ქრისტიანული კონცეფციის მიხედვით, ქრისტეს მოსვლამ შეცვალა არა მარტო მსოფლიო ისტორიის საზრისი, არამედ ეს მოვლენა კონკრეტული პოლიტიკური ძალის, კერძოდ, რომის იმპერიის, გაძლიერების საწინდარი გახდა. ევსები უფრო ადრეული მოღვაწეების კვალდაკვალ ამტკიცებს, რომ რომის იმპერია გაძლიერდა, რათა შექმნილიყო მშვიდობიანი სივრცე და პირობები ქრისტიანობის შეუფერხებელი გავრცელებისათვის. ღვთაებრივი ჩანაფიქრი აღსრულდა მაშინ, როცა კონსტანტინე დიდის დროს ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო სარწმუნოებად იქცა, სახელმწიფოს ძლევის მომნიჭებელი სიმბოლო კი ქრისტეს მონოგრამა და ჯვარი გახდა [კრივუშინი 1998: 112-117].

“ვახტანგ გორგასლის ცხოვრების” ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს იდეა კარგადაა ნაცნობი თხზულების ავტორისათვის. ოღონდ იგი წარმოადგენს ქართლის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობისა და კულტურული გავლენების შესაფერის ორიგინალურ კონცეფციას. აქ მსოფლიოს ისტორიაში ორი მთავარი ფაქტორი გამოდის: *სპარსნი* და *ბერძენნი*. ისტორიულად ჯერ ერთ ძალას ჰქონდა უპირატესობა, ხოლო ქრისტეს მოსვლიდან მოყოლებული – მეორეს. ამ ისტორიულ გასაყარზე ათავსებს ავტორი ვახტანგ გორგასლის მეფობას და მას ისტორიის შემობრუნების უნიკალური მომენტის მნიშვნელობას ანიჭებს.

ამგვარად, უნდა დავასკვნა, რომ “ვახტანგ გორგასლის ცხოვრების” ავტორმა ვახტანგისდროინდელი რთული პოლიტიკური და კულტურული სიტუაციის შესაფერისი სიმბოლურ-იგავური ენით გადმოცემული ქართლის სამეფოსა და მისი ხელიწყოების პოლიტიკური იდეალი შექმნა.

თავი IV

“არჩილის ცხოვრების” იდეოლოგია

ჯუანშერის ავტორობით ცნობილი ისტორიული თხზულების ბოლო, სტეფანოზ ადარნასე ერისმთავრის ძის ზეობის ხანით დაწყებული მონაკვეთი [ყაუხჩიშვილი 1955: 228] შეიცავს ისტორიულ თხრობას, რომელიც ისტორიკოსთა ერთი ნაწილის მიერ ცალკე არსებული ისტორიული თხზულებიდან მომდინარედ არის მიჩნეული. მართალია, “ქართლის ცხოვრების” ეს მონაკვეთი საგანგებოდ არ არის გამოყოფილი ძირითადი ტექსტიდან, მაგრამ მასში ერთიანი სიუჟეტური და კომპოზიციური სტრუქტურა შეინიშნება. თხზულება განსხვავდება წინამდებარე ტექსტისაგან თავისი მოცულობითა და თხრობის სტილითაც. მატიანისებურ თხრობას, რომელიც “ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას” მოსდევს, პირველად “არჩილის ცხოვრების” ვრცელი მოთხრობა არღვევს. “ქართლის ცხოვრების” ისტორიოგრაფიულ ტრადიციას თუ გავითვალისწინებთ, ვრცელი “ცხოვრებები” განსაკუთრებით მნიშვნელოვან მეფეებს ეძღვნებათ და მათში, გარდა მოღვაწეობის დეტალების აღწერისა, იდეოლოგიური და ტვირთის მქონე სიმბოლურ-ალეგორიული ხასიათის ეპიზოდებია ჩართული [პატარიძე 2008: 103]. ამ თვალსაზრისით არც “არჩილის ცხოვრებაა” გამონაკლისი. ნაშრომის ამ მონაკვეთის მიზანია “არჩილის ცხოვრების” სიმბოლიზმისა და იდეოლოგიური მიზანდასახულების კვლევა.

„არჩილის ცხოვრების“ ტექსტის მოცულობა და თარიღი

ამ თხზულების ცალკე სახით არსებობის შესახებ მოსაზრება პირველად გამოთქვა პავლე ინგოროყვამ. მას მიაჩნდა, რომ ეს VIII საუკუნის ისტორიული თხზულება ექსცერპტის სახით ჩართულია „ქართლის ცხოვრების“ ჯუანშერის სახელით ცნობილ მონაკვეთში [ინგოროყვა 1941:143].

დავით მუსხელიშვილმა გაიზიარა პავლე ინგოროყვას ეს მოსაზრება. მან მცირე კორექტივი შეიტანა ანონიმის ტექსტის მოცულობის განსაზღვრის საკითხში. პავლე ინგოროყვას მიაჩნდა, რომ ანონიმის თხზულება იწყება მურვან ყრუს ლაშქრობის აღწერილობით [ყაუხჩიშვილი 1955:233], ხოლო მუსხელიშვილმა